


140 / 2
1939.

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

სიბუნება



№7

1 9 3 9 8

ბიბლიოთეკა

საქ. აღკვ. ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახორციელების ეკონომიკური შუამდგომლობის

ივლისი, 1939 წ., № 7

გამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ., № 34, ტელ. 3-02-61.

შინაარსი

	გვ.
1. დ. ლუკაშვილი—მგრძობიარე ფისო (მოგონება ბელადის წარსულიდან)	1
2. ვ. სულაზმირიძე—ბანაკი ნაძვარში (ლექსი)	3
3. მარტ ტვიენი—საშუალო საუკუნეების რაინდული რომანი (თარგმანი ინგლისურიდან ვ. კელიძისა)	4
4. ბ. კახაჩიძე—აბრეშუმის კაბა (ლექსი)	8
5. თ. გუგუშვილი—105 წლის კოლმეურნე (ნამდვილი ამბავი)	9
6. ლევ კვიციანი—წერილი ევროპილოვს (ლექსი, თარგმანი ვ. ბაიძისა)	13
7. ქეთო ტოტივაძე—ორი შესანიშნავი გამოფენა	14
8. მოსწავლეთა შემოქმედება (ლექსები)	16
9. იცით თუ არა?	გარეკანის მე-3 გვ.
10. გასართობები	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და ყდის მზატვრობა
ეკუთვნის მზატვ. ი. ქაქიაშვილს.



3528

(მოგონება ბელადის წარსულიდან)

I

ლამეა. წვიმს. ქარი წვივის და დანაფარდობს ქუჩაში. წყვილი დასწოლია თბილისის გარეუბანს. ვიწრო ქუჩებში მთლად ბნელა. მხოლოდ აქა-იქ მისახვევ-მოსახვევებში საბრალოდ ბუტყავს ფარანი. ტაროსით შეშინებულ ხალხს შეუბუდნია სახლებში. იშვიათად თუ გამოჩნდება ვინმე ფარანთან.

აგერ, ფარანს მოშორებით გამოუარა მგზავრმა. მიბინდულ შუქზე ძლივს შეიძლება მისი პირისახის გარჩევა. მგზავრს ნაცრისფერი პალტო აცვია. ყელზე შარტი აქვს შემოხვეული და თავზე შლია ახურავს.

ეს მგზავრი სოსოა, ყველა შეგნებული მუშის სათაყვანებელი სოსო ჯუღაშვილი.

იგი ქუჩის შუაგულს მისდევს, რადგან აქ უფრო ნაკლებად არის ტალახი. დროგამოშვებით იხედება უკან, გამოვიდა სივრცეში რალაცას მოსძებნის, სმენას გაამახვილებს და ისევ მიდის. წრეში მეცადინეობა მოათავა. მოათავა და მაშინვე გამოვიდა გარეთ. ჯაშუშები შენიშნა გზაში. ორმა წინ უყელა, ზოგნიც უკან გამოჰყენენ, ალბათ, სწადდათ ბინამდის მიჰყოლოდნენ, გაეგოთ სად ათევეს ლამეს, სად დადის და ვისთან. ჯაშუშებმა იცოდნენ, რომ სოსოს ერთი აქვს საზრუნავი და სასიარულო: რევოლუცია, რევოლუცია და კიდევ რევოლუცია. ისე სოსო არ წავიდოდა სადმე და ვისთანმე და უბრალოდ არ დაჰკარგავდა დროს. სახაშეში შესვლამ უშველა. ერთი ჯაშუში შეჰყვა შიგ, დანარჩენები გარედან უთვალთვალდნენ. საჭმელ-სასმელი შეუკვეთა. როცა მოიტანეს და მაგიდაზე მის წინ დაალაგეს, ხელის დაბანა და საპირფარეოში წასვლა მოიმიზეზა და უკანა კარიდან თავს უშველა, წამოვიდა, იმედგაცრუებული ჯაშუშები კი იქ დატოვა. ვინ იცის, რამდენხანს უცდიდნენ ჯაშუშები სოსოს დაბრუნებას, სოსო კი მიდის გაჩქარებით, მიდის მტკიცე ნაბიჯით და ისე ხშირად აღარ იხედება უკან ჯაშუშების დასაზვერად.

კარგა მანძილი გაიარა. აგერ გამოვიდა კუკიაში. ქუჩებში მეტი შუქია. ხალხი ბლომად მიდი-მოდის. ეტლიც კი შემოეყარა გაღვილი მგზავრებით. ერთი მათგანი უშნოდ გაჰკიოდა:

„გალიაში რომ გაგზარდე, ბოშო, ჩარ!“

ჩარ, ჩარ, ჩარირამა, ჰე-ჰე-ჰე-ჰე, ჰორიდილა პატარაო, ჩარ!“

გაიარა ქუჩა, ხალხის ხმაური შემცირდა. მოისმა ძაღლის ყეფა. ოთხფეხი რალაზედაც ანჩხლობს და წამდაუწუმ აახლებს ყეფას. ეს რალა ისმის? ჰოო, კატა კნავის. აქ რა უნდა ამ დროს კატას, ახლო ხალხი არსადა ჩანს, მარტო სააღმშენებლო მასალებია მიყრილ-მოყრილი. ალბათ, ვინმე ბურჟუა აქ სახლს აშენებს.

— მიაუ, მიაუ, მიაუუუ!

თანდათან ახლოვდება კატის კნავილი.

— მიაუუუ!

დაიკნავლა ციცამ და ფეხებში აებლანდა სოსოს. სოსომ დაიხედა და ნაბიჯს უნელა: ფრთხილობდა ცხოველისათვის არ დაედგა ფეხი.

— რა გინდა, ფისო? ფისო, ფისო!


მეიღერსა სოსო კატას, რომელიც შარვლის ტოტებზე ეგლასუნებოდა და თან უფრო ნაზად გაიძახოდა:

— მიუ, მიუ, მიააუ! — და მისდევდა სოსოს. სოსომ კიდევ დახედა ცხოველს.

— შეხე, რა ლამაზია! რაო, ციცავ, სახლიდან გარეთ გამოგადგეს? გინდა ჩემთან წაგიყვანო?

და დასწვდა კატას, რომელმაც სოსოს ხელებს ლოკვა დაუწყო, კულის ქნევას უხშირა და კრუტუნ-ნი მორთო.

— ფისო, ფისიკო, ეე, შენც ჩემსავით ხველი ხარ. რაო, ფისუნა, უბინაო ხარ, თავი ვეოსად შეაფარე და იმიტომ წვიმამ დაგასველა?



მარცხენა ხელით გულზე მიიყრდნო კატა და განაგრძო გზა. კატა კი კრუტუნებდა მადლობის ნიშნად.


შუალამე გადასული იყო, როცა სოსო ბინაზე მივიდა. კატა დასვა ძირს, დაიბანა ხელები, გამოიღო დილას საუზმიდან დარჩენილი ძეხვი, კველი და პური და დაქანცულ-დამშეულმა მადიანად დაუწყო ჭამა. თან თავის მცირე ვახშამს სთავაზობდა პაწაწა სტუმარს, რომელიც კრუტუნით შეექცეოდა და დროგამოშვებით ჭკვიანი თვალებით ახედავდა ხოლმე თავის მხსნელ კეთილ ადამიანს.

II

განვლო ხანმა. სოსო შეეჩვია თავის ხიზანს. ყოველდღე უზიდავდა კატას საზრდოს, თავისუფალ დროს ეთამაშებოდა. ფანჯარაც კი გამოუტეხა, რომ კატას თავისუფლად შესძლებოდა გარეთ გასვლა. კატაც თავის მხრივ ისე მიეჩვია პატრონს, რომ როცა სოსო წასული იყო სადმე, ის მთელი დღე იჯდა ჭიშკრის თავზე და ვაჰყურებდა გზას, საიდანაც სოსო უნდა დაბრუნებულიყო. თვალს მოჰკრავდა თუ არა მომავალ პატრონს, უმალ ჩამოხტებოდა ძირს და სახლიდან კარგა დაშორებით მიეგებებოდა, ფეხებში ჩაუფარდებოდა და, თუ ეს სიბნელეში ხდებოდა, დიდი სიფრთხილედ ჰმართებდა სოსოს, რომ კატისთვის ფეხი არ დაედგა. როცა ეზოს მიუახლოვდებოდნენ, მაშინ კი გამოუძვრებოდა ფეხებიდან, წინ გაუძღვებოდა და ოთახის კარს გააღებდა თუ არა სოსო, პირველად კატა შეისიერებდა, შეჩერდებოდა შუა ოთახში, პირს იზამდა კარისაკენ და შესცქეროდა შემავალ პატრონს. შევიდოდა სოსო სახლში თუ არა, კატა კრუტუნითა და კუდის ქნევით დაიწყებდა მის უკან სიარულს, ხოლო როცა პატრონი შეჩერდებოდა, მოჰყვებოდა შარვლის ტოტებზე გლასუნს ან ფეხზე შემოხვევდა თათებს და გაინაბებოდა. ამ დროს ხშირად ესმოდა მისთვის უტკბესი პატრონის ალერსი:

— ფისო, ფისუნა, როგორა ხარ, ფისუნა, ფისო, ფისუნა...

ვერ მოასწრებდა სოსო დაჯდომას, რომ კატა მის გვერდით გაჩნდებოდა. თუ სოსო წიგნის კითხვას დაიწყებდა, კატაც ამოიკეცავდა წინა თათებს, უკანა თათებს ტანის ქვეშ შეილაგებდა და მორთავდა გაბმულ კრუტუნს, სწორედ ისე, როგორც



კრიჭინამ იცის სადამოობით გაბმული საგალობელი, ხოლო უფრო საამოდ და გრძნობიერად სოსოს ძილის დროს კი მის ფეხით საბანზე მოირთხმოდა და კრუტუნებდა, თითქოს იანანას ეუბნებო. ასე მიდიოდა ციკას ბედნიერი დღეები.

ერთხელ სოსო სადღაც წავიდა და დიასახლისს დაუბარა:

— დედა, ძალიან გთხოვ ჩემს დაბრუნებამდე ამ კატას საჭმელი არ მოაკლო. ყურადღება მიაქციე, რომ ბავშვებმა არ აწვალონ. ფანჯრის მინა არ ჩასვათ, რომ კატა თავისუფლად გადიოდ-შემოდინოდეს.

და ხელში აიყვანა სოსომ ციკა, ხელს უსვამდა, ეალერსებოდა. კატა არაჩვეულებრივად ეხვეოდა, გულზე ეკვროდა თავის პატრონს.

III

რამდენიმე ხნის შემდეგ სოსო თბილისში დაბრუნდა. სახეზე ღიმილი დაჰქრის: როგორ დაფერთხა მენშევიკები დისკუსიაზე! თან როგორი ძლიერი ორგანიზაცია მოაწყო იქაც! აქაც გაფიცვამ მიზანს მიაღწია, დათხოვნილი მუშები უკანვე მიაღებინა ფაბრიკანტს. ტრამვაიდან ბინამდის მცირე მანძილი აქვს გასაველეი. გზაში მიტრიალდა და ძეხვის პატარა ნაჭერი ააწონინა. პურიც მოაჭრევინა, წაითხულ გაზეთში შეახვია და ჩქარის ნაბიჯით გაეშურა შინისაკენ. იქ კატა ჰყავს, იმისათვის იყიდა ძეხვი და პური.

აი, შემოვიდა ეზოში და ათვალერებს თავის საყვარელ ფისუნას, მაგრამ ის არ ჩანს. ათვალერებს, იქნებ მოუახლოვდეს და ჩვეულებრივად ფეხებში აებლანდოს, ფეხი კი არ დაადგას საწყალ ციკას, ცოდოა. შედგა ეზოში და დააქცერდა ფანჯარას: საფრთხის სიგნალი — ქაღალდი არ არის გაკრული, მაშასადამე, საეჭვო არაფერი მომხდარა ბინის გარშემო. კიბეზე აირბინა და შეალო დიასახლისის ბინის კარი.

— გამარჯობა, დედა, როგორა ხართ? საეჭვო ხომ არა მომხდარა რა?

— გამარჯვებით იარე, შვილო. საეჭვო არა მომხდარა რა, ყველაფერი რიგზეა.

— ჩემი კატა როგორღა არი?

— კატააა?! კატა კი არა, შვილო, ის ზოგ ადამიანზე უფრო მეტად დასაფასებელი ყოფილა. იცი, რა ქნა? რაც შენ წახველი, ნამცეცა პური ან სხვა საჭმელი არ ჩაუშვა პირში.

— მაშ რით საზრდობდა?

— იღარდა, შვილო, ძალიან იღარდა შენი წასვლა. ჩვენი ხელიდან არავითარ საჭმელს არ იღებდა. ერთთავად იჯდა ჭიშკრის თავზე და შენს გზას გამოსცქეროდა. ვერაფერი მოვაგვარეთ რა. რამდენჯერ ჩამოვიყვანეთ ჭიშკრიდან, საჭმელი დაეუდგით, მაგრამ ვერა და ვერ შევაჭამეთ.

დაკეტილ ოთახში საკმელს შეეუდგამდით, მივანებებდით თავს, იქნებ შეჭამოს რამეო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, პირს არაფერს დააკარებდა, იწყებდა კნაფილს, კარის ფხაჭუნს ან ფანჯარაზე ხათქუნს: გარეთ გამოშვებას ითხოვდა. ბოლოს, როცა გამოვეუშვებდით, გამოვარდებოდა გარეთ, მიიბრუნებოდა და კარმიდამოს, სადღაც მიძვრებ-მოძვრებოდა და ვნახოთ — ისევ ჭიშკრის თავზე შესკუპდებოდა და გზისაკენ დაიწყებდა ყურებას...

— მერე, დეიდა, ახლა სად არის?

— შენი ჭირი წაიღო, შვილო. ერთ დილით ჩემმა ბიჭმა გაშვებული ჩამოათრია ჭიშკრის თავიდან.

— მაშ მოკვდა ჩემი ციცა? — დაფარული ნალვლიანი კილოთი წარმოთქვა სოსომ და ცოტახანს ჩაფიქრდა.

— ჰო, შვილო, მომკვდარიყო საწყალი კატა.

— საწყალი!

თითქოს ბურანში წარმოთქვაო, ისე გაიმეორა

სოსომაც, სასწრაფოდ გააღო კარი და თავის ოთახისაკენ გაეშურა.

ღიასახლისი შეჰყვა სოსოს ოთახში, მივიდა მაკიდასთან, მოხადა ლამპას შუშა, პატრუქი შეუსწორა, გაჰკრა ასანთი, ანთო ლამპა და სოსოსკენ მოიხედა, რომელსაც პალტო გაეხადა და უბიდან რაღაც ქაღალდს იღებდა.

— ჯერ ბინდ-ბუნდია, იქნებ აღრეა ლამპის ანთება? — ანთებული იყოს, საჭიროა.

— იმას ვამბობდი, სოსო, რომ შენმა კატამ ყველანი გაგვაკვირვა. რა ჰკვიანი, რა ერთგული ყოფილა... ნახევარ საუკუნეზე მეტი მიცოცხლია და ამისთანა რამე არ მინახავს. გასაოცარია, აბა მაშ რა არის, ეგრეთ რომ მიითვისოს და მიიკრას კაცმა ცხოველის გული...

სოსო კი მიუჯდა მაგიდას, თან მოტანილი გაზეთის „ისკრის“ ახალ ნომერს გაფაციცებით დაუწყო კითხვა და ყურს აღარ უგდებდა ქალის ლაპარაკს.

პედიოპე სეაბეაიძე



ამ მთას ქვევით ველებია,
ზევით — საჯიხვეები,
ატყორცნილან შუბებივით
ცაში ნაძვის ხეები.

ატყორცნილან, ალანძულან,
ტანწერწეტა ნაძვები,
მოგვეგებნენ, როგორც მწვანე
ჩოხიანი კაცები.

მოგვეგებნენ მკლავგაშლილნი,
საამური შრიალით,
ჩვენ შევფრინდით მერცხლებივით
და მთა შევაზრიალეთ.

ჩვენ შევფრინდით მერცხლებივით,
სიმღერით და ხარხარით,

აქ — ნაძვები, მალღით მზე და
სუფთა ზეცა დაგვხარის.

შემოვსხედით ხეთა მხრებზე
ჭიკჭიკით და ჟღურტულით,
შორს მთვარე ჩანს ფერმიხდილი,
მზეში მთლად მიბჟუტული.

ასე ლალად კიდევ ერთხანს
ვირბენთ მთის ბილიკებით,
კიდევ ერთხანს, კიდევ ერთხანს
ამ ნაძვებთან ვიქნებით.

ვმხიარულობთ, ვცეკვავთ, ვმღერით,
დღეა თუ საღამოა,
დავისვენებთ ასე, მერე
კვლავ წვიგნებთან ჩამოვალთ.





სამუაღლო საუკუნეების რაინდუღობი როძანი

I

1222 წლის მიწურული იყო. ღამის სიჩუმეს მოეცვა კლუგენშტაინის დიადი საბატონო ციხე-დარბაზი. შორს, ზემოთ, ციხის უმაღლესი კოშკიდან განმარტოებული სინათლე გამოკრთოდა, იქ საიდუმლო თათბირი გაემართათ. კლუგენშტაინის მრისხანე ლორდი ტახტზე იჯდა ფიქრებში წასული.

— ჩემო ასულო! — რბილის ხმით მიმართა მან კეთილშობილური გარეგნობის მქონე ჭაბუკს, რომელიც რაინდის ჯავშნით იყო შეჭურვილი.

— მიბრძანეთ, მამაჩემო!

— დრო დადგა გაგიმელავნო საიდუმლო, რომელსაც მთელი შენი ახალგაზრდა სიცოცხლე ბურუსით ჰქონდა მოცული. იცოდე, რომ მას თავისი მიზნები ჰქონდა: სიკვდილის წინ მამაჩემმა ანდერძად დატოვა: იმ შემთხვევაში, თუ ჩემს უფროს ძმას უღრისს, რომელიც ამჟამად ბრანდენბურგის დიდი ჰერცოგია, არ შეეძინებოდა ვაჟი, ხოლო მე კი მეყოლებოდა იგი, სამემკვიდრო ტახტი ჩემს ვაჟს გადაეცემოდა; თუ მხოლოდ ქალები იქნებოდნენ ჩვენი მემკვიდრენი, მმართველობა უღრისის ქალს დარჩებოდა, მაგრამ თუ უღრისის ქალის სახელი შეიბღალებოდა, საჰერცოგო ტახტზე ჩემი ასული ავიდოდა. მე და ჩემი მეუღლე გულმხურვალედ ვევიდრებოდით ღმერთს ჩვენთვის ვაჟი ეჩუქებინა, მაგრამ ვედრებამ ამაოდ ჩაიარა, შენ შეგავძინე; სასოწარკვეთილებამ შეგვიპყრო, ვხედავდით, რომ სასიქადულო ჯილდო ხელიდან მიცლებოდა, მე კი როგორი იმედით ვიყავი აღსაყეს! ხუთი წლის დაქორწინებული იყო უღრისი და შვილი ჯერაც არ გასჩენოდა.

— მაგრამ არა, — ვთქვი მე, — ჯერ კიდევ არ დალოჟულა ყველაფერი, მხსნელმა გეგმაზე გამიელვა თავში.

შუალამისას დაიბადე შენ. მხოლოდ ექიმმა, გამდელმა და ექვსმა მოახლე ქალმა იცოდა შენი ნამდვილი სქესი. მე ისინი მაშინვე ჩამოვანარჩე, მეორე დღით კი მთელი ჩემი საბარონო გაიხარებდა, რომ მე ვაჟი შემიძინა, ბრანდენბურგის ტახტის მემკვიდრე! ამის შემდეგ საიდუმლო დაცული იყო, შენ დეიდა გზრდიდა პატარობისას და ჩვენც არაფერი გვაშინებდა.

ათი წლის რომ გახდი, უღრისს ქალი გაუჩნდა. ამან ძალიან შეგვაწუხა, მაგრამ ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავდით; გვეგონა, რომ უფიცი მკურნალი, წითელა ან რაიმე საბავშვო სენი ჩვენთვის

სასურველ შედეგს მოიტანდა. მაგრამ ამაოდ, ყოველთვის იმედგაცრუებულნი ვრჩებოდით, ის მაინც ცოცხლობდა... იზრდებოდა... ღვთისაგან წყეული! მაგრამ არაფერია, უკვე გადავრჩით განსაცდელს, რადგან... ხა! ხა! ხა! განა ძე არ გვყავს და განა იგი ტახტის მემკვიდრე არ არის?! ხომ, ჩვენო საყვარელო კონრად, ხომ ასეა?! თუმცა შენ ქალი ხარ, უკვე 28 წლისა, ჩემო შვილო, მაგრამ სხვა სახელი არაოდეს გრქმევია.

დრომ თავისი გაიტანა. ჩემი ძმა მოხუცდა და სახელმწიფოს მართვა მეტად მძიმე შეიქმნა მისთვის. მას სურს შენ მიხვიდე. თუმცა ჯერ კიდევ არ გაკურთხებენ ჰერცოგად, მაგრამ აქედანვე შეიქვივე სამთავროს გამგებლობას, შენი ვასალები და მსახურნი მზად არიან. ამაღამვე გაემგზავრები.

ახლა ყური დამიგდე და კარგად დაიხსოვე ყოველი სიტყვა, რასაც მე ვეტყვი. არსებობს უძველესი გერმანული ადათი, რომლის მიხედვითაც, თუ საჰერცოგო ტახტზე თუნდაც ერთი წამით დაჯდა ქალი მანამ, ვიდრე ჰერცოგად არ ეკურთხება, სიკვდილით უნდა დაისაჯოს.

გულში ჩაიბეჭდე ჩემი ნათქვამი, თავი ყველას თავმდაბლად მოაჩვენე და შენი მსჯავრი ყოველთვის მსაჯულთუხუცესის სკამზე მჯდომმა გამოიტანე, რომელიც ტახტის ქვემოთ დგას; ასე მოიქეცი, ვიდრე ჰერცოგად გაკურთხებდნენ, ამის შემდეგ კი საშიში აღარ იქნება შენი ნამდვილი სქესი გაიგონ. ახლა კი უფრო ბრძნულია ფრთხილად მოიქეცი, რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ მუხანათურ ქვეყანაში.

— ო, მამაჩემო! ნუთუ ამისთვის იყო მთელი ჩემი სიცოცხლე მზაკრობით მოცული?! ნუთუ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომცემოდა ტახტი წამერთმია ჩემი უღანაშაულო ბიძაშვილისათვის?! შემობრალე, მამა! შეიბრალე შენი შვილი!

— ჩუმად, თავხედო! ნუთუ ეს არის სამაგიერო ყველა იმისა, რაც მე შენთვის გავაკეთე?! მამაჩემის ძვლებს ვფიცავ, ასეთ ყმაწვილურ სიბრძნეებს არ მოველოდი! ხმა აღარ ამოიღო, ახლა ჰერცოგთან გასწი და ფრთხილად მოეპყარ ჩემ გვეგებს.

მეტს ველარ ვეტყვით, საკმაოა მხოლოდ იცოდეთ, რომ ვერც მუდარამ და ვერც გულჩვილი ქალის ცრემლებმა ვერ მოაღბო კლუგენშტაინის მრისხანე ლორდი. ყველაფერი ამაო იყო.

ბოლოს მაინც ციხე-დარბაზის გარეთ აღმოჩნდა საბრალო ქალი, მწუხარე გულით გადახედა მან უკან მიტოვებულ გამოკეტილ ციხის კარებს და ვასალ-რაინდებისა და მსახურთ თანხლებით გაემართა.

ქალის გამგზავრების შემდეგ რამდენიმე ხანს მღუმარედ იჯდა მოხუცი ლორდი, შემდეგ თავის დაღვრემილ მეუღლეს მიმართა.

— ქალბატონო, ჩანს, იმარჯვებენ ჩვენი საქმეები, უკვე სამი თვე შესრულდა, რაც ჩვენი ცბიერი და მოხდენილი გრაფი დეცინი ვავგზავნე ჩემს ძმისწულ კონსტანსთან მის ვერაგულად შეცდენის მიზნით. თუ ის დამარცხდა, მაშინ საშიშროება მოგველის, მაგრამ თუ მან ყველაფერი რიგზე გააკეთა, არავითარ ძალას არ შეუძლია ხელი შეუშალოს ჩვენი ქალის ჰერცოგად კურთხევას, თუგინდ თვით ბოროტი ბედი აღუდგეს წინ.

— მე მაინც გული რალაც ცუდს მიგრძობს, გერ მოვისვენებ, ვიდრე ყველაფერი არ მოგვარდება.

— დაჩუმიდი, დედაკაცო, ბედზე ჩხავილი ყვავებს მიანდე, შენ-კი წადი, დაიძინე და იოცნებე ბრანდენბურგსა და დიდებუზე.

II

ზემოთ მოთხრობილი ამბის შემდეგ ექვსი დღე გავიდა. ბრანდენბურგის სამთავროს დიადი სატახტო ქალაქი დიდი ზეიმით ხვდებოდა ახალგაზრდა მემკვიდრის მოსვლას. დაუსრულებელ სამხედრო პროცესიებს შეერთებოდა მხიარული ხალხის ხმაური, ირგვლივ ყველაფერი კაშკაშებდა.

კონრადის მშვენიერ გარეგნობას და მოხდენილ ქცევას უკვე მოგო მოხუცი მთავრის გული, იგი სავსე იყო ბედნიერებითა და კონრადის სიყვარულით.

სასახლის დიდი დარბაზები აზნაურებითა და წარჩინებულებით გაჭედლიყო, ისინი მხურვალედ ესალმებოდნენ კონრადს და ისე ნათელი და ბედნიერი ჩანდა ყველაფერი, რომ ის აღარ გრძობდა შიშსა და მწუხარებას, მათი ადგილი იმედიან კმაყოფილებას დაეჭირა.

ამავე სასახლის განმარტოებულ დარბაზში კი სხვა სურათს დავინახავდით. ჰერცოგის ერთადერთი ქალი ლედი კონსტანსი დანადვლიანებული იდგა ფანჯარასთან და ნამტირალევი თვალები ახლაც ცრემლებით ჰქონდა სავსე. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ქვითინი დაიწყო.

— წავიდა არამზადა დეცინი, მიმატოვა... რა ძნელი დასაჯერებელია ეს ჩემთვის, მაგრამ რომ მართალია! მე ვიცოდი, რომ მამაჩემი არასოდეს დამრთავდა მასზე გათხოვების ნებას, მაგრამ მაინც ვბედავდი მის სიყვარულს, მე მიყვარდა იგი, მაგრამ ახლა მძულს მთელი ჩემი არსებით, მძულს! ოხ, ღმერთო, რა მომელის, სამუდამოდ დავიღუპე! უთუოდ გავგიჟდებ!

III

რამდენიმე თვემ გაიქროლა. ყველანი აღფრთოვანებულნი იყვნენ ახალგაზრდა კონრადის უბრა-

ლოებით, აქედნენ მის მმართველობის ნიჭს, ბრძნულად განსჯის უნარს და განაჩენის ლმობიერებას.

მაღე მოხუცმა ჰერცოგმა ყველაფერი მას გადასცა, თვითონ კი შორიდან ამაყად ადევნებდა თვალყურს თავისი მემკვიდრის საქმიანობას. თითქოს ცხადია, რომ კონრადივით ყველასგან ქებული, საყვარელი და პატივცემული ადამიანი არ შეიძლება ბედნიერი არ ყოფილიყო, მაგრამ იგი მაინც არ გრძობდა თავს ბედნიერად; ახალგაზრდა მმართველი შეეძრწუნებინა იმ ამბავს, რომ კონსტანსს მისდამი სიყვარული ჩასახოდა გულში. ყველა დანარჩენის სიყვარული სასურველი იყო, მაგრამ ეს კი საშინელებას უქადდა მას. კონრადს ისიც შეემჩნია, რომ მოხუცი ჰერცოგი, რომელსაც არ გამოჰპაროდა თავისი ქალის გატაცება, კმაყოფილი იყო ამ ამბით და უკვე მათ დაქორწინებაზე ოცნებობდა.

კონსტანსის სახეზე თანდათან ქრებოდა ღრმა სევდის კვალი, დღედაღღე მისი ნათელი თვალებიდან იმედი და სიცოცხლის ხალისი გამოკრთოდა და მალე ღიმილიც გაიშალა მის ბაგეებზე.

კონრადი შეწუხებული იყო, იგი მწარედ კიცხავდა თავს იმისათვის, რომ დაემორჩილა გრძობებს, (რამაც ისე დააახლოვა თავისივე სქესის ადამიანთან) როცა ახალი და უცხო იყო ამ სასახლეში, როცა ის მოწყენილი იყო და თანაგრძობრბაც სწყუროდა, რაც მხოლოდ ქალს შეეძლო.

ის ახლა გაურბოდა თავის ბიძაშვილს, მაგრამ ეს მხოლოდ აუარესებდა საქმეს, რადგან რაც უფრო ცდილობდა თავიდან აეცილებინა ქალის შეხვედრა,



ქალი მით უფრო დაჟინებით უღობავდა გზას. პირველად ეს მხოლოდ აოცებდა კონრადს, მაგრამ შემდგომ შიშმა შეიპყრო. ქალი მოსვენებას არ აძლევდა, კვალდაკვალ დასდევდა ყველგან და ყოველთვის, ღამეც ისევე შფოთავდა, როგორც დღისით, ეტყობოდა, რაღაც საიდუმლოება აწუხებდა.

დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა ასე, მთელი სამთავრო ამ ამბავზე ლაპარაკობდა, ჰერცოგიც უკვე განცვიფრებული იყო. საბრალო კონრადი მოჩვენებას დაემსგავსა, შიშსა და საშინელ მწუხარებაში მყოფი.

ერთხელ, როდესაც იგი განმარტოებული ოთახიდან სურათებიან ტალანში გადიოდა, კონსტანსი გადაეღობა წინ, ხელები დაუჭირა და მთრთოლვარე ხმით შესძახა:

— ო, რატომ გამირბირხართ მე? რა დავიშავეთ, რა გითხარით ისეთი, რომ შემძულეთ! კონრად, გევედრებით, ნუ შემიზიზღებთ, შეიბრალებთ ტანჯული გული... მეტი აღარ შემიძლია... უნდა გამოგიტყდეთ... მიყვარხართ, კონრად! აჰა, ახლა თქვენი ნებაა, შემიზიზღეთ, თუ გინდათ!

კონრადს ენა ჩაუვარდა და ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. კონსტანსმა სხვანაირად ახსნა მისი სიჩუმე, შეტორტმანდა და ყელზე შემოეჭდო.

— თქვენ მოლბით! თქვენ შეგიძლიათ შემიყვაროთ! თქვენ შემიყვარებთ! ო! თქვით, რომ გსურთ ეს! ჩემო ყველავე, ჩემო ღმერთო!!



კონრადმა გამწარებით ამოიკვნესა, ავადმყოფური ფერმკრთალობა გადაეფინა სახეზე და ვერხვივით ათრთოლდა, მერე სასოწარკვეთით ჩამოიშორა საბრალო ქალი და დაიყვირა: — თქვენ არ იცით რას მთხოვთ, ეს ყოვლად შეუძლებელია! — და გაიქცა როგორც დამნაშავე, დატოვა რა გაშეშებული და შეურაცხყოფილი პრინცესა.

დიდხანს ქვითინებდნენ მწარედ ორივენი ერთმანეთის მოშორებით, კონრადი თავის ოთახში და ქალი კი იქვე. ორივენი სასოწარკვეთილნი იყვნენ, ისინი პირისპირ შეპყურებდნენ მათთვის გამზადებულ დაღუპვის საშინელებას.

თანდათან გამოერკვა ქალი, იგი ძლიერ წამოდედა და ბარბაცით გაემართა. — რა საშინელებაა, — ამბობდა საბრალო, — მას, თურმე, ეზიზღებოდა ჩემი სიყვარული, როცა მე ვფიქრობდი, რომ მისი უღმობელი გული მოთვინიერდა; მე მძულს იგი ახლა, მან ხელი მკრა, წყეულმა, ისე მომიშორა, როგორც ძაღლი!

IV

დრო გადიოდა. მწუხარებამ დაჩრდილა საბრალო ქალის სახე. ისინი მას შემდეგ აღარ შეხვედრიან ერთმანეთს. მოხუცი ჰერცოგი წუხდა, კონრადს კი დღითიდღე უბრუნდებოდა ჩვეული მზიარულება. მისი თვალები უკვე სიცოცხლით ბრწყინავდნენ; იგი მართავდა ქვეყანას სრულიად მომწიფებული სიბრძნით.

რამდენიმე ხნის შემდეგ უცნაური ჩურჩული მოედო სასახლეს, იგი დღითიდღე იზრდებოდა, ქალაქელმა კორიკანებმა მალე მთელს საჰერცოგოს მოჰტვინეს ამბავი, ყველა გაიძახოდა — ლედი კონსტანსს ბავშვი ეყოლაო.

როცა კლუგენშტაინის ლორდის ყურამდის მიიღწია ამ ხმამ, მან აღტაცებისაგან სამჯერ შეისროლა ჰაერში ძვირფასი ფრთებით შემკული მუზარადი.

— გაუმარჯოს ახალ ჰერცოგს! — გაიძახოდა აღტაცებული, — დღეიდან ეჭვი აღარაა კონრადის ჰერცოგად კურთხევისა. დეცინმა ჩინებულად შეასრულა თავისი გაიძვერული საქმე, მე მას დავაჯილდოებ ამისთვის!

ბედნიერმა ლორდმა მთელ თავის საბრძანებელს მოსდო ეს ამბავი და ორი დღის განმავლობაში არავინ დარჩა, რომ არ ეცეკვოს და არ ემღეროს იმ ღრეობაში, რომელიც ამაყმა ლორდმა გამართა ღიადი და ბრწყინვალე შემთხვევის აღსანიშნავად.

V

გასამართლების დღეც დადგა. საჰერცოგოს ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ ლორდები და ბარონები, რომელთაც ავესთ სასამართლოს დიდი დარბაზი. ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არსად იყო.

კონრადი, რომელიც მეწამული ყარყუმით იყო შემოსილი, მსაჯულთუხუცესის სკამზე იჯდა, მას ორივე მხარეს სახელოვანი მოსამართლენი უხსდნენ. მოხუცმა ჰერცოგმა მრისხანე ბრძანება გასცა, რათა მისი ქალის გასამართლება ყოველგვარი შეწყნარების გარეშე წარემართათ. მან ვერ გაუძლო ამდენ მწუხარებას და ლოვინად ჩავარდა. მოხუცის დღეები დათვლილი იყო.

საბრალო კონრადი ამაოდ შესთხოვდა ჰერცოგს მისი ბიძაშვილის გასამართლება ვინმე სხვისთვის ებრძანებინა.

შეკრებილთა შორის ყველაზე მწუხარე გული კონრადს ჰქონდა, ყველაზე მზიარული კი — მამამისს, რომელიც კონრადის დაუკითხავად მოსულიყო და ბრბოში შერეული სიხარულით მოელოდა დიდ ბედნიერებას, მისი სახლისთვის რომ იყო გამზადებული.

როცა ყოველგვარი სამზადისი დამთავრდა და ჰეროდმაც აუწყა ხალხს ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მსაჯულთუხუცესი წამოდგა და ბრძანა:

— ბრალდებულო, წინ წამოდექით!

უბედური პრინცესა საბურავმოსხნილი წარსდგა ურიცხვი ხალხის წინაშე. მსაჯულთუხუცესმა განაგრძო:

— დიდად პატივცემულო ქალბატონო! საჰერცოგოს დიდი სამსჯავროს წინაშე ბრალი ედება თქვენს ბრწყინვალეობას, რომ თქვენ წმინდა ცოლქმრული კავშირის გარეშე გეყოლათ ბავშვი. ჩვენი ძველი კანონით, ასეთი დანაშაული ყოველთვის სიკვდილით ისჯება, გარდა ერთი გამონაკლისისა. ამაზე მისი ბრწყინვალეობა ლორდი კონრადი მოგახსენებთ. მოუსმინეთ მას.

კონრადმა სამეფო კვერთხი შეარხია, მაგრამ მაშინვე იგრძნო განწირული ბიძაშვილის სიბრალული მისმა ქალურმა გულმა, რომელსაც მამაკაცის ტანსაცმელი ფარავდა, და თვალემა ცრემლებით ავესო. მან სალაპარაკოდ გააღო ბაგე, მაგრამ მსაჯულთუხუცესმა საჩქაროდ შეაჩერა:

— მანდედან ნუ, თქვენო ბრწყინვალეობავ, მანდედან ნუ, კანონიერი არაა მანდედან განაჩენის გამოტანა, საჰერცოგო სასახლეში ყოველთვის ტახტიდან უნდა წარმოითქვას განსჯანი.

საბრალო კონრადს გული აუთრთოლდა, მისი მოხუცი მამის რკინის ფიგურაც კი შეარხია შიშმა. კონრადი რომ ჰერცოგად ნაკურთხი არ არის ჯერ, როგორ გაბედავს შებღალოს ტახტი! იგი შეუყოყმანდა ერთხანს და შიშით გაფითრდა. განცვიფრებული თვალემა მამისკენ მიმართა. ზედმეტი დაყოვნება შეუძლებელი იყო, ეჭვს აიღებდნენ, იგი ავიდა ტახტზე და ცოტახნის შემდეგ კვლავ შეარხია კვერთხი.

— ბრალდებულო, — მიმართა მან, — ჩვენი მბრძანებელის, ბრანდენბურგის ჰერცოგის ულრიხის სახელით შევეუდგები მეტად მძიმე მოვალეობის შესრულებას, რომელიც წილად მხვდა მე. მოისმინეთ ჩემი სიტყვები. თუ თქვენ არ გაიმეტებთ ჯალათისათვის ბრალდების მონაწილეს, უძველესი კანონით, სიკვდილით უნდა დაისაჯოთ. გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა, ვიდრე გვიან არ არის, დაასახელოთ თქვენი ბავშვის მამა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა სასახლეში. სიჩუმე ისეთი ღრმა იყო, რომ კაცი თავისი გულის ცემას გაიგონებდა.

მაშინ პრინცესა, რომლის თვალემა მძულვარებით ელავდნენ, ნელა მოტრიალდა, კონრადს მიათითა და თქვა:

— თქვენა ხართ ის კაცი!

უიმედობისა და განწირულების საშინელმა რწმენამ მომაკვდინებელი სიცივით გაუარა კონრადს გულში. რა ძალას შეეძლო ქვეყანაზე ეხსნა იგი, რომ თავიდან აეცილებინა ბრალდება? საჭირო იქნებოდა მისი ნამდვილი სქესის გამომჟღავნება, მაგრამ უკუთხეველად ტახტზე ასული ქალი ხომ სიკვდილით უნდა დაისაჯოს?! უეცრად კონრადი და მისი მრისხანე მამა გონდაკარგულნი დაეცნენ.

* *

ამ წარმტაცი და სრული ამბის დანარჩენ ნაწილს ვერსად იპოვნით ვერასოდეს, ვერც აქ და ვერც სხვა რომელიმე წიგნში.

უნდა გამოგიტყდეთ, მე მივიყვანე ჩემი გმირი ეგზომ უიმედო და განწირულ მდგომარეობამდის, რომ აღარ ვიცი, როგორ ვიხსნა იგი. ამჟამად ხელს ვიბან ყოველგვარი მოვალეობისაგან და თავის ნებაზე ვუშვებ მას, დეე, თავისი გზა მანვე გამოიხოს, ან იქვე დარჩეს.

თარგმნა ინგლისურიდან **მ. ჰილიქიშ**



აბრეშუმის კაბა



შელის ნუკრივით მოხდენილი,
მერცხალივით მარდი,
აბრეშუმის კაბით ცირა
აივანზე დადის.

დებს უამბობს რაღაც ნახულს,
ვიღაც მწყემსის ამბავს...
შვენის გავლა, დაწინწკლული,
მდელოსფერი კაბა.

რა ხალისით შეიკერა,
რა ღილეზით მორთო!
ხან ზღვის თვალებს აღარებდა,
ხან კი ვარდის ფოთოლს.

კაბა ნაზი, აბრეშუმის,
ბევრჯერ ჰქონდა წინათ,
მაგრამ კაბა ასე კარგი
ჯერ არ ახსოვს ცირას.

ნაცნობები რას ამბობენ,
რას ფიქრობენ, ნეტავ!

კაბა არც ძმას უყიდა,
არც მამას და დედას.

ადრინდელად სხვების ზრუნვა
არ სჭირდება უკვე,
ქალის ეშხით გადაჰყურებს
ეზოსა და შუკებს.

დედის მსგავსად მშრომელია,
გმირთა გზის გამყოლი,
ჩაის მკრეფავ გოგოებში
მას ცოტა ჰყავს ტოლი.

მუყაითად მისდევს მწკრივებს,
თავს ღიღინით ირთობს,
მარჯვეა და კაბაც კარგი
შეიძინა თვითონ.

ლამაზია, თამამია,
ამტანი და მტკიცე,
მის კალთაში ოქროდ წვება
ჩაის მწვანე სივრცე.





(ნამდვილი ამბავი)

— მე დღეს 105 წელი შემისრულდა, — თქვა ყურძნით საესე გოდორთან დამჯდარმა მოხუცმა.

კოლმეურნეები ადრე დილიდანვე კრეფდნენ ყურძენს. ახლა მუშაობა შეეწყვიტათ და ისვენებდნენ.

— რა ვიცი, მე 20 წლისა ვარ, მაგრამ ყურძნის კრეფაში თუ მჯობნი, თვარა არ ჩამომივარდები, — გამოელაპარაკა სიკო.

მიხაკო კუჭულაძემ ასანთი გაჭკრა კოლოფს და ჩიბუხთან მიიტანა.

— სიკოია, შე გლახა, ახალგაზრდა რო ვიყო, მაშინ გიჩვენებდი, როგორ უნდა მუშაობა.

— ბაბუა, რას იზამდი, ახალგაზრდა რომ იყო? — შეეკითხა სტახანოველი კოლმეურნე გოგონა.

— რას ვიზამდი და აგრონომი ვიქნებოდი, ვიკითხავდი წიგნებს, შევისწავლიდი ჩვენს ნიადაგს და მოსავალს ერთიორად გავადიდებდი. თოფი გავარდებოდა და... თოფი თუ გავარდა საზღვარზე, ახლაც არ ჩამოგივარდებით უკან.

— ვაშა, ვაშა, ბაბუა! — ტაშის ცემით შესძახეს ახალგაზრდებმა.

— ეჰ, ბედნიერები ხართ, შვილებო, ბედნიერები! — დაასკვნა მიხაკომ და ახალგაზრდებს გადახედა.

— ბაბუა მიხაკო, მოგვიყევი შენი ახალგაზრდობის შესახებ, — შეეხვეწა ფაცია.

— ჰო, მოგვიყევი, მოგვიყევი! — აპყვენენ დანარჩენები.

მიხაკომ თავი დახარა, მერე იქვე მყოფთ გადახედა და დაიწყო:

— მწარე იყო ჩემი ახალგაზრდობა, მაგრამ რადგან მთხოვთ, ინებეთ, მოგიყვებით. მე აქაური ვარ, აკეთელი, ლატაკი გლეხის შვილი. ბავშვობაში ბევრი გამწარება და შიმშილი გამოვცადე. იმ დროს თავადები გლეხებს საქონელზე უფრო ცუდად ეპყრობოდნენ. ხშირი იყო გლეხის ყიდვა-გაყიდვა თავადებს შორის.

ერთხელ ტყეში რკოს ვაგროვებდი. უცრად ყრვინი მოისმა და მინდორზე ცხენები გააოჩნდნენ: წინ მონადირე ძაღლები მორბოდნენ. შემეშინდა და გავიქეცი. ისინი უკან დამედევნენ.

ბევრი ვირბინე და ბოლოს ახალმოჭრილ თივას შევაფარე თავი. გადარჩენილი ვიყავი მეგონა, როცა მეძებარი ძაღლები ყეფით მოადგნენ ზენს.

— არ გაუშვა, — ეცი, მურია! — ისმოდა ყიფინი ტყეში.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დამიჭირეს, ხელები შემიკრეს, ერთი ორი მუჯლუგუნიც გამკრეს და ბატონს მიმგვარეს.

ბატონ თავდგირიძეს არ მოვეწონე.

— ეგ რა ცინტალი მოგიყვანიათ, რაში გამოამადგება, — უკმაყოფილოდ თქვა თავადმა. თავადის ოჯახში დიდხანს არ დავრჩენილვარ, მაგრამ მე საუკუნედ მომეჩვენა იქ ცხოვრება.

ერთხელ ბევრი მირტყეს, თითქოს ურჩობის გამოჩენისათვის. მეგონა აღარ გადავრჩებოდი, მაგრამ სული მაგრად ყოფილა მიკრული ადამიანის სხეულში. მეორე დღეს თავადის მსახურებმა ხელები შემიკრეს, ბაწრის ბოლო ცხენს აღვირზე მიაბეს და წინ გამიგდეს. ღამე იყო. შიშველ ფეხებში ეკლები მესობოდა. სული მეხუთებოდა რბენით, მინდოდა დამესვენა, მაგრამ თავადის მსახურის მათრახის მეშინოდა, რომელიც ცხენზე არხინად იჯდა და კრიმანჭულს აწკრიალებდა. უცებ ცხენი გაჩერდა, ბაწარი აღვირს მოხსნეს და მე დიდ მშენიერ ოდაში შემეყვანეს.

თავდგირიძის მსახურმა რალაცა უთხრა უცნობს, შემდეგ ვერცხლის ფულეები ჩაიხხრიალა ჯიბეში და გარეთ გავიდა. როგორც მეორე დღეს გავიგე, მე თავადმა გურიელმა მიყიდა. მეორე დილას საქმარეულოში მიკრეს თავი.

— ჰეი, ბიჭო, გახეხე ქვაბი, ჩაასხი წყალი, შეუწითე ცეცხლი, შე ურჯულო! — მთელი დღე მიყვიროდა ჩასუქებული მზარეული.

ღამე ძლივს მივათრევედი დაღლილ ფეხებს კუთ-

ხეში დაყრილ თევამდის, სადაც მკვდარივით ჩამეძინებოდა. ხანდახან სიზმარში ნენას ვნახავდი და ვიციროდი. დილას ისევ გავრბოდი ხან ზევით, ხან ქვევით.

ერთხელ შაქრის ფხენილის ნაცვლად მზარეულს მარილი შევაჩეჩე ხელში. საშინელი ამბავი დატრილდა.

— მომწამლეს ძაღლის შვილებმა! — ყვიროდა თავადი. — დაგწყვეტ, მოგსპობთ! — ღრიალებდა ის. მე ოდაში შემათრეის.

— აი შე არამზადა, შე გომბეშო! — იქეჩა თავადის ხმამ. ხელები მაგიდაზე დამაწყობინეს და თავადი გაშმაგებით მირტყამდა მათრახს.

— ერთი, ორი, სამი! — ითვლიდა სიამოვნებით ის. ირგვლივ მსახურნი იდგნენ. ოცი დაითვალა თავადმა, და მე თითქოს ბნელეთში გადავვარდი. შემდეგ აღარაფერი მახსოვს.

სიზმარში ნენა ვნახე. ის მიკოცნიდა დასისხლიანებულ ხელებს, თავზე ხელს მისვამდა და ალერსით მიჩურჩულებდა:

— ნუ, ნუ, გენაცვალოს ნენაი, ნუ სტორი, ჩემო მიხაკო!

ჩე თითქოს ტკივილებმა მიკლო და ნენას ვეკროდი გულში. კვირა საღამო იყო. თავადი აივანზე გამოვიდა და ბრძანება გასცა ცხენი შეეკაზმათ. შემსვეს ცხენზე და საღლაც წამიყვანეს. მეორე ღამეს ბათუმში ვიყავი, შემდეგ სოფელ ჭვადში. იქ ბეგმა ხიმშიაშვილმა მიყიდა. ერთი თვე ვიცხოვრე აჭარის თავადის ოჯახში, გამწარება აქაც არ მომკლებია. ბეგმა მალე არზრუშში გამგზავნა სხვა გლეხებთან ერთად გასაყიდად, იქ ფაშამ მიყიდა. ფაშა უცნაური ადამიანი იყო: ხან უყვარდა ცეკვა-თამაში, ხან კი ეზიზღებოდა. მე კარგი მოცეკვავე ვიყავი, ხმაც ტკბილი მქონდა, და ფაშას შევეუყვარდი. მაგრამ ცუდ ხასიათზე რომ დადგებოდა, ყმებს დაუძახებდა და მაწამებდა. მიუხედავად იმისა, რომ ფაშა ხშირად ცუდად მეპყრობოდა, მე მასთან შედარებით კარგად ვცხოვრობდი.

19 წლის ვიყავი, როდესაც ფაშამ გამარჯვებით დაათავა ომი ერთერთ ხანთან. ფაშა ხანს 3 წლის განმავლობაში ეომა და მე ერთი წუთით არ მოგუშორებდნენ თავიდან. ერთ საღამოს ფაშამ მიმიხმო.

— იმდერე! — მიბრძანა და მშვენიერი ნოხით მორთულ ტახტზე წამოწვა. მე დავიწყე ჩემი საყვარელი სიმღერა შავი მერცხლის შესახებ. იმ საღამოს ჩემი ხმა განსაკუთრებით ტკბილი და მაღალი იყო, გული კი სევდით სავსე. როცა სიმღერა დავათავე, ფაშას სახეზე ცრემლები შევნიშნე.

— ისურვე, რაც გინდა, — მიბრძანა ფაშამ.

— მეშინია არ გაგაჯავროთ, ბრწყინვალე ფაშა, — კრძალვით წავილულულდე, თან ვიცოდი, რომ სურვილის გამოთქმა უნდა მეჩქარა, სანამ ფაშა ცუდ ხასიათზე დადგებოდა.

— ისურვე! — უკვე მკვახედ გამიმეორა ფაშამ.

— დიდო ბატონო, მე სამშობლოში დაბრუნება მენატრება, — ჩურჩულით გავეცი პასუხი.

სიჩუმე ჩამოვარდა. მე მოლოდინად გადავიქეცი.

— კარგი, ხვალდან თავისუფლებას განიკებ და სამშობლოში გავისტუმრებ.

თქვა ფაშამ, ამოიხრა და დადუმდა. მალე ცუდ ხასიათზე დადგა, ისე მაგრად ჩამკრა წიხლები, რომ კედელს მივეხეთქე. მთელი ღამე სიხარულით არ დამძინებია.

— სამშობლო, ჩემო საყვარელო! — მღეროდა ჩემი გული. ხან მომელანდებოდა, თითქოს უკვე ჩემს სამშობლო მიწაზე დავდივარ, და ჩუმი ვგალობდი. ხან კი თითქოს ფაშამ გადიფიქრა თავისი დაპირება... მაშინ კი ქვითინი ამომივარდებოდა გულიდან. განთიადზე ჩამეძინა. არ ვიცი, რამდენი ხანი ვიძინე. საშინელი ხმაურისაგან გავიღვიძე. სასახლე ავსილი იყო ხალხით. მსახურები ანთებული ჩირაღდნებით ეზოს მოსდებოდნენ და რაღაცას გაიძახოდნენ.

ხანუმა, ფაშას ცოლი, სახეს იკაწრავდა და „ვალაჰს“ ვაჰკოდა. შუა დარბაზში გავჩნდი. ფაშას სიკვდილმა ჩემი ცხოვრება ეძოცვალა. ქვრივი ხანუმა ცუდად მეპყრობოდა. ჯერ იატაკის მწვენილად დამნიშნა, შემდეგ ქურჭლების მრეცხავად და ბოლოს ბოსელში გადამიყვანა. ხშირად მწარედ აცემინებდა ჩემს თავს.

— ვაიმე, ვაიმე! — მოთქვამდა ჩემი გული. — ვაიმე, დაკარგული სამშობლო!

ერთხელ სასახლიდან გავიპარე, მაგრამ ასკერებმა დამიჭირეს და ხანუმას მიმგვარეს.

ხანუმამ სამი დღით ბნელ ორმოში ჩამსვა.

მოგკვდებოდი მეგონა, მაგრამ სული მაგრად ყოფილა მიკრული ადამიანის სხეულზე და არ ამოხდა, ძამიავ, — მაღალის ხმით წამოიძახა მიხაკომ, ასანთი ერთხელ კიდევ მიიტანა ჩიბუხთან და განაგრძო მოყოლა:

— ერთხელ ხანუმას მოჯამაგირე ფატიამ ყურში ჩამჩურჩულა:

— გურჯი მიხაკო, ხანუმას შენი გაყიდვა უნდაო.

ჩემი მწუხარება გაათქეცდა. გავიპარე მეტი, გადავწყვიტე და მზადებას შევეუდექი. ჩემს ბედზე, ჩქარა კუპრით შავი ღამე ჩამოეფარა დედამიწას. ფეხებზე ძონძები შემოვიხვიე, ტანზე შავი ტანისამოსი ჩავიცვი, ფეხაკრეფით აივანზე გამოვიპარე და ღამეს შევეურთდი. გალავანთან ლეღვის ხე მოვნახე, რომლის შტოები ქუჩისაკენ იყო გადახრილი. წელზე ბაწარი შემოვიხვიე, მეორე ბოლო ლეღვს მივამაგრე და უკვე გადაშვებას ვაპირებდი, როცა ხელზე თბილი სუნთქვა ვიგრძენი.

— ჰო, ჩემო საყვარელო მურია, — ჩაჩურჩულე მღელვარე ხმით და ძაღლს თავზე ხელი გადავუსვი. ის თითქოს გრძნობდა, რომ მე სამუდამოდ ვშორდებოდი, წკმუტუნით ხელებს მილოკავდა და ფეხებზე კუდს მირტყამდა.



— მშვიდობით, მურია, მე სამშობლოში მივდი-
ვარ, გესმის, მურია, ჩემს სამშობლოში.

— ჰამ, ჰამ! — შემომყეფა მურია, თითქოს
თანხმობის ნიშნად. მურა ჩემი გაზრდილი იყო და
ამის მეტად არც ერთხელ არ დავშორებივარ ჩემს
მეგობარს.

— მშვიდობით, მურა, — ერთხელ კიდევ გადა-
ვუსვი ხელი ძალს თავზე. ბაწარზე ხელები მაგ-
რად მქონდა ჩაჭერილი და ნელ-ნელა მოვცოცავ-
დი. ლედვის შტო მოიგრიხა, საცოდავად დაიჭრი-
ქინა და თვალის დახამხამებაში უფსკრულში გადა-
ქანდი. არ ვიცი, რამდენხანს ვიყავი უგრძობლად.
თვალეები რომ გავახილე, ჟეხების ტკივილი ვიგრძენი.

აღმოსავლეთზე განთიადის წითელი სარტყელი
მოჩანდა. მოვინდომე ადგომა. ფეხები არ მემორჩი-
ლებოდა. თავს ძალა დავატანე, რადგან ვიცოდი
ჩქარა მსახურები დამედევნებოდნენ. ბარბაცით მი-
ვედი მდინარის ნაპირამდის. ხელპირი ცივი წყლით
დავებანე, გამოვცოცხლდი, ძალღონე მომემატა.
ყეფა მომესმა. არ გასულა ერთი წუთიც, რომ ჩემი
მურია სახეს მილოკავდა.

— გიჟო, გიჟო, — ვუწყებოდი ძალს, — წადი
სახლში, წადი! — მაგრამ ამაოდ: მურია გაშმაგე-
ბით დახტოდა. ნაბიჯს მოგუმატე. ჩქარა ტყეში
შევედი. გამოვინახე მალალი ბალახი და ჩავწექი შიგ.
ჩემს გვერდით მურიამაც მოიკალათა.

— ჩუმად, მურია, გესმის, ჩუმად, თორემ დავი-
ლუპებოთ.

მურია თანხმობის ნიშნად კული გააქნია. მთე-
ლი დღე გვეძინა. საღამოს ვივახშმეთ და გზას გა-
ვუღებოთ. ასე მივალწიეთ ართვინამდის. სანოვა-



გის მარავი გამოგველია. მე და მურია მშიერები
ვიყავით. საღამო იყო. პურის დუქანში სასამოვნო
სუნი იდგა.

— ეთმექ ვერ ბანა! ¹⁾ — მივმართე გაუბედავად
პურის გამყიდველს.

¹⁾ პური მომეცით.

— პაშბორთ! — წამოიძახა იქვე მყოფმა ბოქაულმა
და ხელები მკლავში ჩამჭიდა.

მურია ყეფა ატეხა და კბილები ბოქაულის
შარვალს ჩაავლო.

— ბაშბორთი მიჩვენე, — გაიმეორა ბოქაულმა
და მურიას ფეხი ჩაარტყა მუცელში.

მურია საწყლად დაიწკმუტუნა და გარეთ გა-
ვარდა.

მე ვიცოდი, რომ დაღუპული ვიყავი, მაგრამ ძა-
ლა მოვიკრიბე, მკლავი გამოვგლიჯე და გაბედუ-
ლად ვთქვი:

— ჩემი პასპორტი ბატონს აქვს. ის ჯოგთან დარ-
ჩა. ნება მიბოძეთ პური წაველო და სათანადო სა-
ბუთები მოგართვათ.

— საქონელი ბაზრობაზე ჩამორეკეთ გასაყი-
დად? — უკვე რბილად შემეკითხა ბოქაული.

— დიად, — ვუპასუხე და თვალეები გავუსწორე.

— ვინ არის შენი ბატონი? — მკითხა ბოქაულ-
მა.

— ბურღოლი მამედ-ალა! — მიუფე სწრაფად.

— წადი, ოღონდ ჩქარა დაბრუნდი, — ნება
დამართო ბოქაულმა.

დუქნიდან დინჯად გავედი. მოსახვევში ნაბიჯს ვუ-
მატე, შემდეგ კი რბენას მივეყ ხელი. მურია წინ
მიმიძლოდა. მივრბივარ და თან ვგრძობ, რომ ვი-
ლაცა მომდევს, მაგრამ უკან მოხედვას ვერ ვბე-
დავ. დუქნები უკან დარჩა. აი, ჩემი სასურველი
მინდორიც გამოჩნდა. ახლა მოვინდომე მადევარ-
თან ანგარიშის გასწორება, ჯიბიდან დანა ამოვი-
ლე და პირი ვიბრუნე უკან.

უკვებ ჩემს ფეხებთან რალაც რბილი ჩასრიალდა.
გაკვირვებული შეეცქეროდი მშვენიერ გოგონას,
რომელიც უგრძობლად გაშხლართულიყო ბალახ-
ზე. გიშრის თმები, მუხლებამდის ჩამოშლილნი,
მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. თითქოს
სპილოს ძელისაგან გათლილი სახე მწვანე ბალა-
ხებში მარგალიტივით ანათებდა. გრძელი აბრე-
შუმის ისრები დაირხა და სახეში მაყვალვით დიდ-
რონმა თვალეებმა შემომანათა.

— ალათია! — შეეძახე განცვიფრებულმა და იქ-
ვე ჩავიკეცე.

— მიხაკო! — დაიწკრილა ქალის ხმამ და ჩემს
ხელებს ბროლის თითები შეეხო. განცვიფრების
სიჩუმე ჩამოვარდა.

— ალათია, აქ რა გინდა? — შევეკითხე ქალ-
წულს.

— შენს შემდეგ მეც ჩქარა გამყიდეს. ვახსოვს,
მიხაკო, არზრუმის ბაზარზე რომ ვაგვიყვანეს ხიმ-
შიაშვილის მსახურებმა? ართვინის ბეგმა მიყიდა,
მას ქართული ლეკური უყვარდა. ხშირად ვცეკვა-
დი ბეგის გასართობად, დღე კი საქათმეს ვუვლი-
დი და ვასუფთავებდი.

ხშირად მირტყამდნენ და მწარედ მატირებდნენ.
გუშინლამ ბეგს სტუმრები ეწვია. ფარჩის კაბაში
გამომაწყვეს, ფეხებზე მშვენიერი ქოშები ჩამაცვეს
და მიბრძანეს შეცეკვა. ტანი დავარხიე და იატაკ-

ზე გავცურდი. სისწრაფეს თანდათან ვუმატებდი და გიჟური სიჩქარით დავფრინავდი შუა დარბაზში.

— ლერწამია, ლერწამი! — წარმოთქვა ვიღაცამ და ფეხებში ხელი ჩამავლო. წონასწორობა დაეკარგე და სტუმარს მუხლებზე გადავეყვით. სტუმარი 80 წლის მახინჯი ბერიკაცი იყო, გულზე დიდი იაგუნდის ვარსკვლავი ეკიდა.

— რა გქვია? — მკითხა და უშნოდ ჩაიხიბინებო.

— ალათი, — ძლივს წარმოვთქვი ჩემი სახელი.

— ალათი, შენ ლამაზი გოგო ხარ, — ჩიფჩიფით დაასკვნა მან.

— მომიდე, ბეგო, შენი ალათი, — უბრძანა ბრწყინვალე სტუმარმა ჩემს ბატონს. გაიმართა ვაჭრობა და ბოლოს 10 ოქროს ლირაზე შეთანხმდნენ. მე კი საკუჭნაოში ჩამკეტეს. ბევრი ვიწვალე, ბოლოს ფანჯარა გამოვადე და გადავხტი. ეზოში როცა დაგინახე, გიცანი და დაგედევნე, მაგრამ შენ ისეთი სისწრაფით გარბოდი, რომ მე უკვე შეჩერება გადავწყვიტე. ამ დროს პირი შემოიბრუნე და მე თითქოს სადღაც უფსკრულში გადავეშვი.

დიდრონი თვალეები სხივებს მესროდა. ალათის სახეზე დიდი მარგალიტებრივი ცრემლები ჩამოსდიოდა. მე თავს უხერხულად ვგრძნობდი, ვინაიდან ალათი უკვე აღარ იყო ის ფეხშველა გოგო, რომელსაც მე ვიცნობდი რამდენიმე წლის წინ და რომელიც ჩემთან ერთად გასაყიდად გაიყვანეს ბაზარზე ხიმშიაშვილის ბრძანებით. დაღამდა.

— წავიდეთ, — ვუთხარი ალათის და ხელი გავუწოდე. მურია კუდის ქნევით უკან მოგვდევდა. მდინარის ნაპირზე ბუჩქებში ჩამალული სათევზაო ნავი ვიპოვე, ჩავსვი ალათია, ნიჩბები ავიქნიე და მიმდინარეობას მივეცი თავი. ბნელი ღამე წვრილმა ვერცხლის ნახევარმთვარემ გაანათა. ალათია მურიას ეალერსებოდა.

— ოჰ, რა ბედნიერი ვიქნები, როცა სამშობლო მიწაზე შევდგამ ფეხს, — თქვა ალათიამ.

— ალათია, იქაც ხომ ბატონები და ჩაგვრა გველის, — ვუთხარი მე.

— განა ეს ტანჯვა მუდმივია, განა მშრომელმა გლენმა არასოდეს არ უნდა გაიხაროს? — კითხვითვე მიპასუხა ალათიამ. — არა, მიხაკო, მე მჯერა, რომ მოვა დრო, როცა გლენი თავისუფლებას მოიხვეჭავს და ბედნიერი გახდება, — თვითონვე გასცა პასუხი თავის კითხვას ალათიამ.

— მეც მჯერა ეს, ალათია. რა ბედნიერი ვარ, რომ შენ გიპოვე, ჩემო მეგობარო!

კახაბერში ვიყავით, ჯერ კიდევ ბევრი გზა გვქონდა გასავლელი, ახალგაზრდა ფეხები სამშობლოში მიგვაფრენდა. ბათუმში ჩავედით. მურია უქეიფოდ მოეთროვდა, ხშირად ისვენებდა და უჩობას იჩენდა. ალათიას ბათუმში ბიძა ჰყავდა და მასთან დარჩენა მოისურვა. მხურვალედ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მურია ალათიამ დაიტოვა.

— მაშ შენ ნატანებში იქნები ხვალ? — მიხაკო ალათიამ.

მეორე ღამეს აკეთში ვიყავი. მამაჩემის ფაცხას მივადექი და გულის ცემით დავუკაკუნე. დიდხანს მაღღვინეს გარეთ, ბოლოს კარები გაიღო და განზე გადახრილ ფაცხაში ძლივს გავიმართე.

— ვინა ხარ? — შემეკითხა მამაჩემი.

— მიხაკო, თქვენი შვილი, — ვუპასუხე მე. დედამ გულში ჩამიკრა.

— ჩემი მიხაკო, ჩემი მიხაკო! — ქვითინებდა ის.

- :-

ალათია ცოლად შევირთე. ბევრი გაჭირვება, ბევრი დამცირება და შიმშილი განვიცადეთ. ოთხი ბავშვი შემეძინა, სამი ბიჭი და ერთი გოგო. ერთხელ სოფელში ჭიდაობა გაიმართა. მოჭიდავე თავადი თავადებს მოერია და გლენთან მოინდომა თავის გართობა. გლენმა მოჭიდავე თავადის დახმამებაზე დასცა ძირს.

— უჰ, შენ გენაცვალე! — წამოვიძახე გახარებული. ეს გაიგონა თავადმა და დამიძახა:

— აქ მოეთრიე!

— რა გნებავთ, ბატონო, — კრძალვით მივუგე.



— შენ რა გიხარია? — მრისხანედ შემეკითხა და სახეში მათრახი ჩამარტყა. წავებარბაცდი. ირგვლივ სიცილი ატყდა. სირცხვილით თავში სისხლი ამივარდა. ეგრე არ უნდა თქო, ვთქვი და თავადი მიწაზე დავახეთქე, წამოვუწიქი მუცელზე და რაც ძალა და ღონე მქონდა ვურტყი, რის შედეგი ჩემი დაპატიმრება და ციხეში გაგზავნა იყო. იქ ვისწავლე წერა-კითხვა. ბევრს ვკითხულობდი. გავეცანი არალეგალურ ლიტერატურას. თითქმის მთელი ცხოვრება კატორღაში გავატარე. ვაჭიშვილებიც ჩემს გზას გაჰყენენ. თქვენ კარგად იცნობთ იმათ, ერთი ინჟინერია, ერთი ექიმი, ერთიც მფრინავი. საწყალი ალათია აწამეს, რათა გაეცა შვილები, მაგრამ ალათიამ კრინტიც არ დასძრა

როცა მე 50-ე მათრახი დაარტყეს, სული გა-
ნუტევა.

მიხაკომ მწარედ ამოიოხრა და თვალეზე მომ-
დგარი ცრემლები მოიწმინდა.—დღეს კი, დღეს ბედ-
ნიერი ვარ. დიდმა ოქტომბერმა მშრომელებს დიდი
სიხარული მოუტანა, ჩემი სამშობლო თავისუფა-
ლია, ჩემებრ ბედნიერი არიან მილიონები,— და-
ათავა ამბავი მიხაკომ.

სოფლისაკენ მიმავალ შარაზე ურემების კრიჭინი

ისმოდა, კოლმეურნეები სიმღერით შინისაკენ მი-
შურებოდნენ.

„ჩვენო სტალინ, ჩე-ე-ვენო მკვიდრო,
ჩვენო დიღო მოამავე,
გაიშალა ის ნაყოფი,
შენ რომ შენის ხეელით დარგე, ჰე-ჰე-ჰე“!

აწკრიალებდა სტახანოველი ფაცია, რომელსაც
ბანს აძლევდნენ ახალგაზრდა კომკავშირელები და
მოხუცი მიხაკო კუკულაძე.
ურემზე დაყრილი ყურძენი გიშრისფრად ბზინავდა.

ღეჳ კვიჳკო

ნერილი ვოროშილოვს

1.

წითელ მარშალს მე მივწერე
სასოებით, იმედით:
„ამხანაგო კომისარო,
საყვარელო კლიმენტი,

2.

მინდა ვითხრა და გაცნობო,
რომ წრევანდელ წელიწადს
ძღვევამოსილ არმიაში
უნდა ჩადგეს ჩემი ძმა.

3.

ამხანაგო ვოროშილოვ,
ვიცი, ვაგებარდება,
რომ ჩემი ძმაც შენი ლაშქრის
მეომარი გახდება...

4.

მუშაობდა იგი მჭედლად,
ჭედდა რკინას, სხვა ლითონს,
ის იქნება არმიაშიც
მტკიცე, სამაგალითო.

5.

ამხანაგო ვოროშილოვ,
ჩემს ძმას მუდამ ენდევით,
თავს გასწირავს, რომ შემუშროს
ჩვენი საზღვრის შემტევი.

6.

მესმის, თურმე, ფაშისტები
ამზადებენ ლაშქრობას,
სურთ საბჭოთა დიდი ქვეყნის
ბრწყინვალე მზის ჩაქრობა.

7.

ამხანაგო ვოროშილოვ,
მტერი თუ თავს აიშვებს,
გთხოვ, ჩემი ძმა მოწინავე
ცეცხლის ხაზზე დანიშნე.

8.

იგი ესერის ნიშანს მარჯვედ,
გზავნის ტყვიას ვარვარით,
რომ განგმიროს შენს ბრძანებით
ფრონტზე ბილწი მტარვალი.


9.

ამხანაგო ვოროშილოვ,
თუ ძმა ომში მომიკლეს,
გთხოვ მომწერო ბარათი და
მეც ძაღლონეს მოვიკრებ,

10.

მყის გავჩნდები ბრძოლის ველზე,
რომ შევცვალო ჩემი ძმა,
რომ სამშობლოს დასაცავად
იარალი ავისხა“...

თარგმნა ვასილ ბაიაძემ



თანამედროვე გამოფენა

კარგახნის წინ იყო დაწყებული მზადება ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენისათვის. მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულების შემდეგ გამოფენის გახსნა ამ წლის ოცდაათი აპრილისათვის დაინიშნა.

ეს ცნობა მთელ მსოფლიოს მოედდა. სხვადასხვა მხრიდან დაიძრა ნიუ-იორკისაკენ აუარებელი მაცურებელი. ოცდაცხრა აპრილს ბევრი სტუმარი ეწვია ქალაქს. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ გამოფენის ადგილზე მივიდა და ღია ცის ქვეშ დაისადგურა. მთელი ღამე იქ იყვნენ ისინი: ძალიან უნდოდათ ყველაზე უწინ დაეთვალიერებინათ იშვიათი სანახაობანი.

დილით, როდესაც გაიღო კარი, გამოფენის მოედანზე შევიდნენ პირველი მაცურებლები. მათ წინ გადაიშალა დიდი ფართობი: სიგრძით ექვსი და სიგანით სამი კილომეტრი. ეს მოედანი სავსე იყო ნაირნაირი სანახაობით.

აგერ უზარმაზარი სფერო და მაღალი სამწახნაგოვანი კოშკი, რომლებიც ერთმანეთთან ხიდითა და დახრილი ხრახნისებური კიბით შეერთებულან. სფერო რვა სვეტს ეყრდნობა, სვეტების სიმაღლე ოთხ მეტრამდეა, სიგანე — ერთ მეტრზე მეტი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ვერ ხედავენ მაცურებლები. რატომ? სვეტები მოთავსებულია მინის ცილინდრულ ბუდეში და დაფარულია წყლის ძლიერი ნაკადებით. წყალსაქაჩავები თვით სვეტებშია მოთავსებული, აქედან ჩქეფს შადრევანი, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო ეს უზარმაზარი სფერო შადრევნებზე დაკურავდეს.

სფერო თექვსმეტსართულიანია, მისი დიამეტრი სამოცდაერთი მეტრია. მასში შესვლა მებუთე სართულიდან შეიძლება. პირამიდაზე დამაგრებულია ორი მოძრავი კიბე. ეს კიბეები თექვსმეტ ათას კაცს ატარებს საათში.

ღამით სხვადასხვა ფერის სხივებით ნათდება სფერო და პირამიდა. იშვიათი სინათლის მეოხებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო პირამიდა უსასრულოებაში ინთქმებოდეს.

საერთოდ, მეტად ნაირფეროვანია ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენა. ამ ნაირფერობაში გამოირჩევა ჩვენი დიადი სამშობლოს პავილიონი. მას თორმეტი ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს.

შენობა მეტად ლამაზია და მკვიდრად ნაგები, სამი სართულისაგან შედგება და ნახევარწრის ფორმა აქვს. აქ, ცენტრში, აღმართულია უზარმაზარი მარმარილოს ობელისკი. მასზე დგას დაუქანავი ფოლადისაგან ჩამოსხმული ბენდიერი ქვეყნის ბენდიერი მუშა. მუშას ხელში ლალს ვარსკვლავი უჭირავს. შებინდდება თუ არა, ეს ვარსკვლავიც გაბრწყინდება და დილამდის ანათებს ლალსფრად საბჭოთა პავილიონს.

საბჭოთა პავილიონის პირველ სართულზე შესასვლელთან გაკრულია ჩვენი ქვეყნის ცნობილ ადამიანთა პორტრეტები. მარჯვნივ — ჩვენივე ქვეყნის შესანიშნავი რუკა. ამ რუკაზე ქალაქები, მდინარეები და მთები აღნიშნულია ძვირფასი ქვებითა და მასალებით. თვალს იტაცებს, ატყვევებს ეს იშვიათი რუკა.

პირველ სართულზევეა ნაჩვენები ჩვენი სამშობლოს წარსული: ცხრაას ხუთი წლის ამბები, ლენინის ჩამოსვლა უცხოეთიდან ოქტომბრის რევოლუციის წინათვეებში. აქვე მაცურებელი დიდი ინტერესით ნახულობს მეტროს, საბჭოების სასახლეს, დნეპროჰესის მაკეტებს...

მეორე სართულზე ნაჩვენებია კულტურისა და მეცნიერების მიღწევები: თეატრალური დადგმების მაკეტები, ნახატები, ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის სწრაფი წინსვლის დოკუმენტები...



სულ ზევით, მესამე სართულზე, მოთავსებულია კინო. განსაკუთრებით დიდი წარმატება აქვს კინოს. აქ მრავალრიცხოვან მაყურებლებს უჩვენებენ შესანიშნავ საბჭოთა ფილმებს. ეს ფილმები საერთო აღტაცებას იწვევს.

ნიუ-იორკის საერთაშორისო გამოფენის მიზანია გვაჩვენოს, თუ რა მიღწევები აქვს თითოეულ სახელმწიფოს და როგორი იქნება იგი მომავალში. საბჭოთა პავილიონი მშვენივრად გვისურათებს ყველაფერს, ზოგიერთი ქვეყანა კი თავს არიდებს ამას. მაგალითად, გერმანიამ უარი თქვა აჩვენოს კაცობრიობას, თუ როგორი იქნება იგი ხვალ. მან უსახსრობა მოიმიზეზა. მაგრამ ეს არ არის მართალი. ფაშისტურ გერმანიას არ შეუძლია გვაჩვენოს თავისი მომავალი. ფაშისტებს დაღუპვისაკენ მიჰყავთ ხალხი.

ნიუ-იორკის გამოფენაზე ზოგიერთმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ წარმოადგინა მეტად უცნაური სახეობანი—მექანიკური ადამიანები. ერთი შეხედვით მექანიკური ადამიანები ნამდვილი ადამიანებზე გვეგონებათ. ისინი დადიან გამოფენის ექსპონატებს შორის, წვევენ პაპიროსს, ლაპარაკობენ, იძლევიან ახსნა-განმარტებას...

მაგრამ მაყურებლებზე მაინც საბჭოთა პავილიონი ტოვებს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. ამას აღნიშნავენ ამერიკის გაზეთები, აღნიშნავენ სხვებიც.

* * *

მეორე შესანიშნავი გამოფენა გაიხსნება მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში. ეს იქნება სრულიად -საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

გამოფენა გვაჩვენებს საბჭოთა კავშირის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევებს, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით არის მოპოებული. აქ იქნება წარმოდგენილი ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის მრავალი ნიმუში: ნარინჯების ბუჩქები, ნაყოფი, ცხვრები, ღორები, ვაზები და კიდევ ბევრი სხვა რამ.

გამოფენისათვის დიდი მზადება მიმდინარეობს. დასასრულს უახლოვდება მოედნის მოწყობა. ამშვენიერებენ შენობებს, აწყობენ ჩანჩქერებს, შადრევნებს... აქ უკვე მოწყობილია წყლის გუბურები. გუბურებში ცურავენ იხვები, ბატები, გედები, სრიალებენ თევზები.

გუბურებთან აგებულია საკოლმეურნეო ჰიდროელექტრო სადგური. სადგური პატარა საწარმოს მოგონებს. ასეთი სადგურები ახლა, როგორც ვიცით,

ბლომადაა სოფლებში და ელექტროენერგიას აღნიშნავენ კოლმეურნეობებს.

ერთი დიდი გუბურის წყალში აღმართულია შადრევანი. ეს შადრევანი თავისი ფორმით უზარმაზარ თავთავს ჰგავს. მისი სიმაღლე ოცდახუთ მეტრს აღწევს.

ბევრი სხვადასხვა შადრევანი იჩქეფებს იქ, კოლმეურნეობათა მოედანზე, საქართველოსა და უზბეკეთის პავილიონებზე.

შესანიშნავია ვეებერთელა ჩანჩქერი პოვოლჟიის პავილიონთან. ეს ჩანჩქერი წარმოადგენს იმ გრანდიოზული ჰიდრომშენებლობის სიმბოლოს, რომელიც ვოლგაზე მიმდინარეობს.

გამოფენის მოედნის მიწის ქვეშ გაყვანილია წყალსადენის ქსელი, რომლის სიგრძე ოცდაექვს კილომეტრს უდრის.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებს ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. რესპუბლიკები ცალცალკე მოაწყობენ თავიანთ პავილიონებს.

ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობა დიდი წარმატებების მაჩვენებლებით მიდის გამოფენაზე. მთავრობის მიერ დამტკიცებულ კანდიდატებს შესანიშნავი მაჩვენებლები აქვთ. ავილოთ, მაგალითად, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. იგი გამოფენის კანდიდატია ტუნგოს, ჩაისა და სიმინდის კულტურის ხაზით. კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ ორიათას ხუთასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი აიღო. აქ ტუნგოს ნაყოფი თითქმის ხუთჯერ მეტი რაოდენობითაა მოყვანილი და სხვ.


ბევრია ჩვენს ორდენოსან რესპუბლიკაში ასეთი მოწინავე კოლმეურნეობა, გამოფენის კანდიდატები.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინეს, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გაგრძელდეს 1940 წელსაც. ის კოლმეურნეობები, რომლებიც გაიმარჯვებენ სოცშეჯიბრებაში, წარდგენილი იქნებიან გამოფენის კანდიდატებად 1940 წლისათვის და მონაწილეობას მიიღებენ გამაფენაში.

* * *

ამ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვებიც. ბევრი პიონერი ამზადებს სხვადასხვა ექსპონატს; ზოგს ვეებერთელა მამალი ჰყავს, ზოგს საფოსტო მტრედი, ზოგს მშვენიერი მანდარინის ბუჩქი აქვს, ზოგს — ლიმონის, ფორთოხლის...

ბევრი მათგანი მიიღებს ჯილდოს.



მშენებელი

მზე, ტურფად ამომავალი,
ლევა ღრუბლებში ტრიალებს,
აკენესდა მწყემსის ყავალი,
მთებიც ბანს აძლევს, წკრიალებს.

ამწვანებულა ბალები,
გვაცდუნებს მწიფე ხილითა,
მყინვარებს ოქროს ჯანლები
როგორ ეხვევა დილითა!

ნოყიერ რძიან ბალახებს
ციური ნამი ეპკურა...
გახედეთ მინდორ-ქალაქებს,
როგორ ლამაზად შემკულა!

გლახები, მინდვრად გასულნი,
წამოიწყებენ მღერასა:
„დავგმეთ შავბნელი წარსული,
ვუმღეროთ ახალ კერასა“.

შალვა მჭედლიშვილი

თბილისი, მე-28 სკოლა.



ბანაკი

როცა ღამე ხევში გაიბარება,
როცა დილა თვალებს შემოანათებს,—
ლაყვარდის ღიმი მზე გაიხდის კარებად,
მოლზე დაწნავს მარწყვით სავსე კალათებს.

ქარი დგება წითელ ყელსახვევებით
და ყვავილებს ღიმი არ მოსცილდება.

მთის შუბლიდან სიო გამოფრინდება,
სად მდინარე ზვირთს ზვირთებით აგიჟებს,
და ჩვენს ბანაკს, სიხარულში მთვლეშარეს,
ზურმუხტ ველთა ზღვაში მიიპატიჟებს.


ჯერ მდინარეს ვეწვევით და ვიკაჟებთ
ბრინჯაოსფერ მკერდებს ბროლის ზვირთებით,
შემდეგ მწვანით მოსილ სკვერებს დაგურბენთ
და ლალისფერ ვარდებით მოვირთვეთ.

მაშინ დილა ჩანჩქერიან ხევეებით
და ხუჭუჭა მთებით ახმატკბილდება,

და როცა მზე ცაზე ამოგორდება,
სხივს დაამსხვრევს სივრცე ბროლის ფარებით,
ხუჭუჭ ტყეს და ჭალას ზურმუხტკორდებს
წიგნით ხელში ჩრდილში შევეფარებით.

მურმან ლეგანაძე

თბილისი, მე-35 სკოლა



იხი თუ არა?

მკერავი ჩიტი

ეს ჩიტი არა მარტო კერავს, ძაფსაც თვითონ ართავს. მას არ გააჩნია არც ნემსი, არც საკერავი მანქანა, მისი ინსტრუმენტებია მხოლოდ ნისკარტი და ბრჭყალები. შეხედე ნახატს და მიხვდები, თუ რას აკეთებს ის. მკერავი ჩიტი ხეზე აარჩევს ორ დიდ, მაგარ ფოთოლს, აერთებს მათ ნაპირებს და ნაჩვრეტებში უყრის ძაფს. ამ ძაფს ჩიტი თვითონვე ართავს მატყლის ღინღლებისა და ბეწვებისაგან. შეკერილი ფოთლებისაგან ღებულობს მშვენიერ ბინას ბუდისათვის. შიგნით მკერავი ჩიტი ბუმბლისა და მატყლისაგან ქსოვს ძალიან მსუბუქსა და მკვრივ ბუდეს.



მკერავი ჩიტები ინდოეთში ცხოვრობენ. მათ მკერავს უწოდებენ, ხოლო რადგან გრძელი კუდი აქვთ, გრძელკუდა მკერავებს ეძახიან.

მერცხის ნერწყვი

მერცხალს თქვენ კარგად იცნობთ. გინახავთ მისი ბუდეც, მაგრამ იკმევა თუ არა მერცხლის ბუდე? ირკვევა, რომ ჭამენ. ჩვენებური მერცხლის ბუდე მიწისაა და, ცხადია, მისი ჭამა არ შეიძლება.

ინდოეთის ოკეანეში ზონდის კუნძულებზე ცხოვრობს სხვაგვარი ჯიშის მერცხალი, ე. წ. სალანგანა. ის ბუდეს ნერწყვისაგან აგებს. მისი ნერწყვი სქელი და წებოვანია. მერცხალი ციცაბო კლდეზე აყოლებს ნისკარტს და უშვებს ნერწყვს, ნერწყვი ცივდება და კეთდება ლილვაკი. დაატარებს თავის ნისკარტს მერცხალი, აწებებს ლილვაკზე ლილვაკს და ამგვარად აგებს ბუდეს.




რაც უფრო მაძლარია სალანგანა, მით უფრო მეტი ნერწყვი აქვს და მით უფრო ჩქარა აგებს თავის ბუდეს.

სწორედ ეს ნერწყვის ბუდეები იკმევა.

ქაჭის ჰივიები


ჩვენ ტივებს ძელებისაგან ვაკეთებთ და მით ვცურავთ. მაგრამ აკეთებენ ტივებს ქაჭისაგანაც. რა თქმა უნდა, ასეთ ტივზე ვერ დადგები, ის ძალიან პატარაა. ასეთ ტივებს აკეთებენ თევზები. ამ თევზებს ხშირად აკვარიუმებში ინახავენ, მათ მაკროპოდებს ეძახიან. როდესაც ქვირითის დაყრის დრო დადგება, მამალი მაკროპოდი აკეთებს ტივს: დაიგროვებს პირში ჰაერს და უშვებს ბუშტებს; ჰაერის ბუშტი, რომელსაც ნერწყვის ვარსი აქვს, მტკიცეა და არ სკდება. ბუშტი წყლის ზედაპირზე გაცურდება. მის გვერდით მეორე, მესამე, მეოთხე... ტივი იზრდება და იზრდება.



მზა ტივი—ეს არის ქაჭი. ტივის ქვეშ თევზი ყრის ქვირითს. ტივი ცურავს, მის ქვეშ კი დამალულია ქვირითი. მამალი მაკროპოდი მის ახლოს ტრიალებს და ყარაულობს როგორც ტივს, ისე ქვირითს.




ბასარ თრბი



ამ რუკაზე დახატულია სხვადასხვა გამოგონება და ქვეშ მიწერილი აქვს გამოგონებლების გვარების დასაწყისები.

მოგვეჩვენეთ, რა გამოგონებებია, რომელ ქვეყანაშია 'გამოგონებული' და გამოგონებლების გვარები სრულად.

რომელი ზღვაა?



ეს ექვსი ნაჭერი დაალიგეთ ისე, რომ მიიღოთ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ზღვა. რა ეწოდება ამ ზღვას?